შემუშავებულია
ხარისხის მართვის მენეჯერის**,**
დირექტორის მოადგილის
კათედრების თავმჯდომარეების მიერ,
განხილულია
№ 1 პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე
და დამტკიცებულია დირექტორის
ბრძანება N**02/23 07.09 .2023**

სკოლის დირექტორი**:** /მ.ჭოხონელიძე/

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა 2023- 2030 სასწავლო წლების
სტრატეგიული განვითარების გეგმა

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა ფუნქციონირებს 2017 წლის 29 აგვისტოდან და ახორციელებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების პროგრამებს. სკოლაში შექმნილია ყოველმხრივ კეთილგანწყობილი და ხელსაყრელი გარემო მოსწავლეთა, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური განვითარებისათვის. ყველა პირობაა შექმნილი, იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეს სოციუმში ადაპტაციისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ესგ–ს სტანდარტებზე დაფუძნებულ ფორმალური და არაფორმალური განათლების ეფექტური ინტეგრირებით პროგრამებს, ასევე სხვა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას

შესავალი:

სკოლის გრძელვადიანი (2023-2030 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული საგანმანათლებლო , მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. სტრატეგილი გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების, კონკურენტებისა და SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის შვიდწლიანი სტრატეგია, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა საკითხი მიზანმიმართულების მიხედვით. აგრეთვე, განხილულია აქტივობების გამოყენების მიზნობრიობა, შესასრულებელი სამუშაოების მიღწევის მექანიზმები. სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები , პარალელურად მოცემულია კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დასახული მიზნების წარმატებით ან წარუმატებლად განხორციელებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და სკოლის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად:

- ქმნის ინკლუზიაზე, კეთილგანწყობაზე პიროვნულ განვითარებაზე, ეთიკურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სოციო–კულტურულ უსაფრთხო სასწავლო გარემოს.
- ხელს უწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი,მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზარდა–განვითარებას, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს სახელმწიფოებრიობასთან, პატრიოტიზმთან და საკაცობრიო იდეალებთან.

წარსული---წლების განმავლობაში სკოლა, აკადემიური მოსწრების მხრივ, ლიდერია არა მარტო ქალაქის, არამედ ქვეყნის მასშტაბით სკოლა ყოველ წლიურად ხვდება ყველაზე მოთხოვნადი კერძო სკოლების ხუთეულში, სკოლის კურსდამთავრებულთა 100% სწავლას აგრძელებს, არამარტო საქართველოს, არამედ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, უმეტესობა მათგანი იღებს დაფინანსებას. სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებაც, სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი. ამის დასტურია 2020 წლის მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპორტულ ოლიმპიადაზე მიღწეული შედეგი, სადაც ჩვენი სკოლის გუნდმა კალათბურთში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ინდოეთში ჩასატარებელი სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატის საგზური.სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ COVID-19

პანდემიით გამოწვეულმა რეგულაციებმა გარკვეული პრობლემები შექმნა, ეს პრობლემები უმტკივნეულოდ იქნა გადატანილი,რადგან ონლაინ სწავლება მიმდინარეობა დადგენილი სტანდარტსი შესაბამისად სრული დატვირთვით. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა გადინება პანდემიის პერიოდში არ მომხდარა.

აწმყო---- ამჟამად სკოლაში ირიცხება 893 მოსწავლე. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული, როგორც რესპუბლიკურ, ისე საქალაქო ოლიმპიადებში, ასევე საერთაშორიო სასერტიფიკაციო გამოცდებში, საერთაშორისო თუ სასკოლო პროექტებში, რასაც მოწმობს მიღებული შედეგები. სკოლა, როგორც მოსწავლის ინტერესებზე მორგებული სუბიექტი, დღემდე ითვლება საუკეთესოდ ქალაქის მასშტაბით, რასაც მოწმობს, როგორც პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველთა გაზრდილი მოთხოვნა, ასევე მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ საფეხურზე. სკოლაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივებას და შესაბამისად ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, რაც გამოხატულია მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის სხვადასხვა სპორტულ წრეებში. სკოლა აქტიურად ზრუნავს პერსონალის კარიერულ ზრდაზე. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართული მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში და ხელს ვუწყობთ პროფესიონალთა ახგაზრდა კადრების მოზიდვას/წახალისებას. ასევე სკოლა ზრუნავს სოციალურად დაუცველ მოსწავლეებზე და ახორციელებს მერიის სოციალურად დაუცველ აბიტურიენთა მომზადების პროგრამას. სკოლაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი იძლევა სასწავლო პროცესის აკადემიურ დონეზე წარმართვის ყველა შესაძლებლობას.

სკოლის მისია:

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მისიაა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე. სკოლამ უზრუნველყოს ფორმალური და არაფორმალური განათლების ეფექტური ინტეგრირებით, დემოკრატიის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების მატარებელი, მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ტოლერანტი, სამართლიანი მოქალაქის აღზარდა–განვითარება, რომელიც ამ ღირებულებებს აკავშირებს სახელმწიფოებრიობასთან, პატრიოტიზმთან და საკაცობრიო იდეალებთან;

მოსწავლეებს შეუქმნას ინკლუზიაზე, კეთილგანწყობაზე პიროვნულ განვითარებაზე, ეთიკურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სოციო–კულტურული უსაფრთხო სასწავლო გარემო, აღზარდოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე, წიგნიერი, პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქე, მოამზადოს მოსწავლეები ,,ციფრული მოქალაქეობის'' უნარით და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებით, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში დამოუკიდებალი კონკურენტუნარიანი ცხოვრებისათვის.

სკოლის ხედვა: სკოლის მისიიდან გამომდინარე, 2030 წლისთვის სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა ფლობდეს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარს, 50% ფლობდეს ერთ-ერთ

უცხოურ ენას B2 დონეზე, კურსდამთავრებულთა 70% სწავლას აგრძელებდეს ადგილობრივ მოწინავე (პრესტიჟულ) უმაღლეს სასწავლებლებში და გვქონდეს პრეცენდენტი (1-2 შემთხვევა) საერთაშორისო უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებისა.

სკოლის განსაკუთრებული პრიორიტეტებია: ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მათი აღჭურვა; ესგ-ის მოთხოვნების განხორციელებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა.

სკოლის მიზანია --- სკოლის თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს წარმატებული სწავლა და პრობლემების წარმატებით გადაჭრა. მოსწავლის მომზადება ცხოვრებისათვის დამოუკიდებელი სასიცოცხლო უნარების განვითარების გზით. მოსწავლის წახალისება თანატოლთა და საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისათვის, ლიდერისა და მოქალაქეობრივი უნარების განვითარება. სკოლის თითოეულ მოსწავლეში საკუთარი თავისა და სხვათა პატივისცემის გრძნობის აღზრდა კონკურენტული რეიტინგის გარეშე, შინაგანი თავისუფლების ,საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის გზით.

ღირებულებები:-----განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმათითოეულმა წევრმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია

- თითოეული მოსწავლის წარმატება;
- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- მიუკერძოებლობა;
- მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ჩვენ ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- ჩვენ გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს და ვართ ჩვენი სკოლის ერთგულნი;
- ჩვენ ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;

- ჩვენ ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
- ჩვენ ვემსახურებით საზოგადოებრივ ინტერესსა და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას;
- ჩვენ ვაფასებთ ინიციატივას და ვზრუნავთ მის მუდმივ გაუმჯობესებაზე;

სტრატეგიული გეგმა --- სკოლის მისიიდან გამომდინარე ითვალისწინებს სკოლის საქმიანობის მუდმივ განახლებასა და სრულყოფას, მოსწავლეთათვის სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, კვალიფიციური კადრების მოზიდვას,პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერიოდულად გადამზადებას, სკოლის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზებას..წინამდებარე გეგმა წარმოადგენს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნის საფუძველს. სტრატეგიული გეგმის გადასინჯვა მოხდება პერიოდულად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, ახალი სტრატეგიული მიზნების ფორმულირების ან არსებულის კორექტირების შემთხვევაში, გასული წლის განმავლობაში შესრულებული მიზნების გათვალისწინებით.

სტრატეგიული მიზანი:

- მოსწავლეთათვის ესგ-ის სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემა და სწავლა-სწავლების ხარისხის შენარჩუნება-ამაღლება
- სკოლის მატერუალირ–ტქენიკური ბაზის გაუმჯობესება
- უსაფრთხო,ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა

№					განაწილება წლების მიხედვით						
	ღონისძიებების (პროექტების) დასახელება;	შესასრულებელი სამუშაოების მიღწევის მექანიზმები	სავარაუდო პერიოდი	პასუხის მგებელი პირი	2023-2024	2024 2025	2025 2026	2026-2027	2027 2028	2028-2029	2029–2030
1	1.სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან . გეგმის შედგენა განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლება არსებული გამოწვევების საპასუხოდ. 2.სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტის	სასკოლო სასწავლო გეგმით, შინაგანაწესით, საგნობრივი კურიკულუმებით, თემატურებით, კათედრების სამოქმედო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მუდმივი მონიტორინგით	მუდმივად მონიტორინი, სემესტრების ბოლოს ანგარიშები.	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის თავ-რე დამრიგებლე-ბი, პედაგოგები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

	დახვეწა ; 3.სასკოლო სასწავლო გეგმა უპასუხებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა საჭიროებებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს და საშუალებას მისცემს მათ, შეიძინონ ესგ-ით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები;										
4.მოსწავლეთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის მექანიზმების დახვეწა.	სწავლა-სწავლების პროცესებით. მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიებით.										
5.ელ.ჟურნალის და ელ. დოკუმენტბრუნვის სისტემის გამართვა	გაფორმებული ხელშეწკრულებები.										

2.	სკოლის ვებ-გვერდის მუდმივი სრულყოფა/განახლება	სკოლაში და სკოლის გარეთ ჩატარებული ღონისძიებების მეშვეობით;	მთელი წლის განმავლობა ში.	აიტ-სპეციალისტი, პედაგოგები, დამრიგებლე ბი საქმის მწარმოებელი	✓	✓	✓	✓	✓	✓
3.	სისტემატური მონიტორინგი თუ რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა მიღწევები ე.ს.გ დადგენილ სტანდარტებს.	კათედრების მუშაობით; სადამრიგებლო პროგრამით და კლასის დამრიგებლების ანგარიშის მიხედვით.	დაკვირვება სასწავლო წლის განმავლობაში, ანგარიშები სემესტრის ბოლოს	კათედრის თავ-რე დამრიგებელი ხარისხის მართვის მენეჯერი	✓	✓	✓	✓	✓	✓

4.	საქალაქო პროექტებში მონაწილეობა, სოციალურ პროექტში ,,სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების მომზადების	მასწავლებლების ჩართულობით აბიტურიენტები ს მოტივაციის გაძლიერება.	2024 -2026 სასწავლო წლის ჩათვლით.	საგნის მასწავლებლები. დირექცია , ხარისხის მართვის მენეჯერი.	✓	✓	✓	✓	✓	✓

5.	მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა; შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.	საგნობრივი კათედრების მიერ ღონისძიების დაგეგმვითა და სკოლის გარეთ ღონისძიბების მოძიებითა და მათში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართვით.	სემესტრში მინიმუმ 2	კათედრები, დამრიგებლები, საგნის პედაგოგები, დირექცია	✓	✓	✓	✓	✓	✓
6.	1.სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.	სასკოლო ცხოვრების მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით , იმის დადგენა თუ რა მატერია ლური და ადამიანური რესურსი ესაჭიროება სკოლას		დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი	✓	✓	✓	✓	✓	✓

7.	1.სკოლის ადამიანური რესურსების განვითარება. პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა .	მეთოდოლოგიების დანერგვა. პერსონალის მიერ სკოლის საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა .	ვებინარებსა და ტრენინგებზე დასწრება .	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის თავ-	✓	✓	✓	✓	✓	✓

8.	პერსონალის ხარისხობრივი გაუმჯობესება;	თანამშრომელთა შერჩევის საკონკურსოკომ ისიის დაკომ-პლექტება ისეთი კვალიფიკა-ციის და გამოცდილების მქონე კადრებით,რაცუ ზრუნველყოფს კანდიდატთა შერჩევის პროცესის სამართლიანობა ს, ობიექტურობას და მათი ცოდნისა და გამოცდილების სწორად შეფასებას ტესტირებისა და გასაუბრების მეშვეობით.	სემესტრების დასაწყისში.	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, კათედრის თავ-რე	✓	✓	✓	✓	✓	✓

9.	მასწავლებელთა გადამზადება საგანმანათლებლო დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით.	საგნობრივი კურიკულუმები, თემატური მატრიცები. კომპლექსური დავალებები.	ოქტომბერ-ნოემბერი	ხარისხის მართვის მენეჯერი.	✓	✓	✓	✓	✓	✓
10.	1.ეტაპობრივი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. კოსმეტიკური სარემონტო სამუშაო	სკოლის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხები სარემონტო სამუშაოებისათვის.	სექტემბერი ოქტომბერი	დირექცია.	✓	✓	✓	✓	✓	✓

11.	1. სასკოლო ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, შევსება ახალი წიგნადი ფონდით. მისი კომპიუტერიზაცია და ინტერნეტ ქსელში ჩართვა. ელექტრონული საძიებო სისტემის შექმნა. 2.ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა. 3.აუდიო მასალების ამოტვირთვა-დაარქივება.(საშინაო სკოლის, ტელესკოლის) 4.შემეცნებითი ხასიათის მასალების გადმოტვირთვა , დაარქივება. 5.კატალოგების დახვეწა.	სკოლაში საგნობრივი კათედრები პერიოდულად მიაწოდებენ სკოლის დირექციას საჭირო წიგნების შესაძენ ნუსხას, რის გამოც საჭიროების შემთხვევაში სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა გარკვეული ოდენობის თანხა ახალი წიგნადი ფონდის შესაძენად ან დაზიანებული წიგნების გასაახლებლად. დისკებისა და საჭირო ინვენტარის შესაძენად.	აგვისტო-სექტემბერი	დირექცია ბიბლიოთეკარი დირექცია. ბიბლიოთეკარი.	✓	✓	✓	✓	✓	✓

12.	ადმინისტრაციული და სასწავლო ინვენტარის დასახელებებისა და რაოდენობის განსაზღვრა და შესყიდვა. საჭიროებისამებრ.	ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგად სკოლაში იკვეთება საჭირო ინვენტარის შეძენის აუცილებლობა(დაზიანება/ განადგურებისა და მოსწავლეთა ცვალებადობის გამო), რის გამოც სკოლის ბიუჯეტიდან გამოიყოფა საჭირო რაოდენობის თანხა;	აგვისტო -სექტემბერი	დირექცია პერსონალი	✓	✓	✓	✓	✓	✓
13.	პანდემიის პირობებში რეგულაციების შესაბამისი სტანდარტების დასაცავი საშუალებებით უზრუნველყოფა.	სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შემოტანა .	საჭიროები-დან გამომდინარე.	დირექცია . ხარისხის მართვის მენეჯერი.	✓	✓	✓	✓	✓	✓

14.	სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა და პერიოდულად შევსება საჭირო მედიკამენტებითა და რესურსებით.	სასწავლო წლის განმავლობაში სკოლისათვის საჭირო რესურსების/ მედიკამენტების აღრიცხვა და შეძენა .ექთანი აწოდებს ნუსხას, დირექტორი ავალებს ბუღალტერს გამოიყოს საჭირო თანხა მედიკამენტების ა და სამედიცინო რესურსის შესაძენად.	მთელი წლის განმავლობაშისაჭიროები-დან გამომდინარე.	სკოლის ექიმი/ექთანი, დირექტორი, ბუღალტერი .	✓	✓	✓	✓	✓	✓
15.	სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთმოლაპარაკების წარმოება.	ჯამრთელობის დაზღვევის, კორპორაციული ტელეკომუნიკაციის მოპოვების მიზნით.	ნოემბერი	დირექცია . მრჩეველთა საბჭო.	✓	✓	✓	✓	✓	✓

16.	წარმატებული სპეციალისტების მატერიალური სტიმულირების დანერგვა.	თვითშეფასებისა და შეფასების მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტები.	სასწავლო წლის ბოლოს	დირექცია	✓	✓	✓	✓	✓	✓

სამედიცინო კაბინეტი - რომელიც ემსახურება სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს. მაღალკვალიფიციური ექიმი ნებისმიერ მსურველს უწევს კონსულტაციასა და საჭირო სამედიცინო დახმარებას.

ადამიანური რესურსი --- სკოლის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - ადამიანური რესურსია. სკოლა ამაყობს თავისი მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, რომელიც თვითგანვითარებაზე არიან ორიენტირებულნი. სკოლა ზრუნავს თანამშრომლებისა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებაზე. ვცდილობთ შევქმნათ და შევინარჩუნოთ კომფორტული, ჯანსაღი და

საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული გარემო. სკოლა ცდილობს გააღრმავოს და წარმოაჩინოს მის სივრცეში მოღვაწე ტალანტები. სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა მიღების, წახალისების, განხორციელებული მუშაობის მონიტორინგის ობიექტური შეფასების მექანიზმები. სკოლა: ზრუნავს მოსწავლეების და თანამშრომლების კმაყოფილების დონის შენარჩუნებაზე; ცდილობს შეუქმნას კომფორტული, ჯანსაღი, უსაფრთხო გარემო თავის სივრცეში მოღვაწე პიროვნებებს; ეხმარება თანამშრომლებს პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლაში. აწყობს საგანმანათლებლო- შემეცნებით აქტივობებს, რომ გამყარდეს ურთიერთობა, როგორც თანამშრომლებს ასევე მოსწავლეებს შორის. სკოლაში დირექცია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარ-აქტივობების სტრატეგია-

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გრძელვადიან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ცნობიერებაში სკოლის, როგორც ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მომწოდებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, რეპუტაციის დამკვიდრება. მისი იდენტიფიცირება უნდა ხდებოდეს პოტენციურ მომხმარებლებში, როგორც სასწავლო დაწესებულება, რომელიც აწვდის უფრო მეტს, ვიდრე ხარისხიანი განათლებაა.
სწორედ ამ მიზნით იქნა შერჩეული სლოგანი – „გვენდეთ და გაგიმართლებთ!“
სკოლის გრძელვადიანი მარკეტინგული ამოცანაა:

- გაუმჯობესდეს სკოლის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა;
- შეინარჩუნოს საგანმანათლებლო ბაზარზე ხარისხიანი განათლების მიწოდების დაწესებულების პოზიცია;
- თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციის დანერგვა;

წარმატების საზომი : საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი, სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქიკურ შესაძლებლობებს .

მთავარი ორიენტირია მოსწავლეთა ჩართულობა და მიღებული ცოდნის ხარისხი, უნარ-ჩვევები მათ გამოსაყენებლად. წარმატების საზომად სკოლა გამოიყენებს შიდა სასკოლო მონიტორინგის PDCA ციკლის პრინციპის : ,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“

პროგრესის შეფასების გეგმა----პროგრესი გაიზომება მუდმივი მონიტორინგით სწავლა-სწავლებისას გამოყენებული პროგრამების ,პერსონალთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების, ინდივიდუალური სასწავლო შემუშავებული გეგმების, სადამრიგებლო და კათედრების აქტივობების და სხვ.,მონაცემების შეგროვების,ანალიზისა და შემოწმების შედეგად ,განიხილება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიღწევები /ხარვეზები, მშობელთა ,მასწავლებელთა, მოსწავლეთა კითხვარებით ...დანიშნულებისამებრ განხორციელდება ცვლილებები და აისახება შესაბამის დოკუმენტაციაში.

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა განთავსებულია ქ. ქუთაისის ბუხაიძის #9-ში.